პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის

განხორციელების ვადა: 01.03.2016 - 28.02.2019

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 374 749

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
SELF-GOVERNING COMMUNITY OF OZURGETI MUNICIPALITY

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/pg/__-_____-_____-1782466238675059/photos/?ref=page_internal

პროექტის აღწერა:

აღნიშნულ სამწლიან პროექტში ოზურგეთის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს გრანტის მიმღებს. იგი უზრუნველყოფს პროექტის ზოგად და ფინანსურ მართვას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი ოზურგეთი წარმოადგენენ თანა-ბენეფიციარებს, რომლებიც განახორციელებენ პროექტის გათვალისწინებულ აქტივობებს. პროექტში აგრეთვე ჩართულია ორი არასამათავრობო ორგანიზაცია - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი. ისინი, როგორც პარტნიორი ორგანიზაციები, უზრუნველყოფენ პროექტის მართვასა და ფასილიტაციას. პროექტის გუნდი საერთო პრინციპებზე დაყრდნობით, ერთიანი ძალებით იმუშავებს გურიის ტურიზმის განვითარებაზე. პროექტი წარმოადგენს საჯარო, გამჭვირვალე და მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებულ პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს გურიის ტურიზმის სექტორის მდგრადი და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული პროექტის აერთიანებს სხვადასხვა ხედვას, ინტერესს, ამასთანავე, სახელმწიფო ორგანოების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების საჭიროებებს. აერთიანებს რა გურიის ყველა მუნიციპალიტეტს, პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი რესურსებისა და რეგიონის ტურისტული პოტენციალის ეფექტურად, სამართლიანად გამოყენებას რათა მოქალაქეებმა და შემდგომ მომავალმა თაობებმა შეძლონ საარსებო გარემოს შენება მდგრად საძირკველზე. მონაწილეობითი პროცესი ე.წ. CHARETTE უზრუნველყოფს ადგილობრივი საჭიროებებისა და მოთხოვნების სრულად გათვალისწინებას, ასევე იმ პროექტებსა და ინიციატივებზე ფოკუსირებას, რომლის საშუალებითაც მოხდება განხორციელებადი ტერიტორიული განვითარების სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომელიც შემდგომ ხელს შეუწყობს გურიის რეგიონის მდგრად და ყოვლისმომცველ განვითარებას.

მოსალოდნელი შედეგები:

- ადგილობრივ მთავრობასა და არასამთავრობო პირებს შორის თანანშრომლობისა და ეფექტური ურთიერთობს ჩამოყალიბება
- გურიის ტურისტული პოტენციალის გამოკვლევა და შეფასება.
- ტურისტული ადგილებისა და შესაბამისი ბიზნეს სექტორების მდგრადი განვითარებისთვის მონაწილეობითი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე.
- მოქალაქეთა მცირემასშტაბიანი აქტივობების მხარდაჭერაზე და განსაზღვრული ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური პროექტების განვითარების ლობირებაზე რეგიონულ და ეროვნულ დონეზე.